

არქეოლოგიური კვლევა ბედიანის მონასტრის ძველ სატრაპეზოში

ელენე შარიფაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ბახტაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საქართველოში, წალკის რაიონში მდ. ხრამის (ქცია) ხეობაში მდებარე ბედიანის სამონასტრო კომპლექსის შემადგენელი ერთ-ერთი ისტორიული შენობის არქეოლოგიური კვლევის შედეგები. მართალია, ეს ძეგლი, მისი სარეაბილიტაციო სამუშაოების წინ, ჯერ კიდევ 2010 წელს გახდა არქეოლოგიურად შესწავლის ობიექტი, მაგრამ მასში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების სამეცნიერო ანგარიში არასდროს ყოფილა გამოქვეყნებული, რადგან აღნიშნულმა პროექტმა მაშინ მხოლოდ საველე სამუშაოები მოიცვა, შემდეგ კი, მოპოვებული მასალის დამუშავება და კვლევა აღარ გაგრძელებულა. ამდენად, ჩემი სამაგისტრო ნაშრომი სწორედ ამ, საველე პირობებში მოპოვებული და მას შემდეგ ბედიანის მოქმედ დედათა მონასტერშივე დასაწყობებული ნივთიერი მასალის ფართო საზოგადოებრიობისთვის ხელმისაწვდომად გამომზეურების, ფუნქციონალურად და ქრონოლოგიურად განსაზღვრის და სამეცნიერო ენაზე ამეცყველების მცდელობაა. ერთ-ერთი მთავარი მიზანი ამ ნაშრომისა ის იყო, რომ კიდევ ერთხელ გადამემოწმებინა საკითხი, თუ რამდენად შეესაბამებოდა აღნიშნული საკვლევი ნაგებობა სატრაპეზოს დანიშნულებას, კონკრეტულად რა ეპოქაში იყო ის აგებული და რამდენ ხანს ფუნქციონირებდა.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისიც იყო, თუ როდის არის ბედიანის მონასტერი დაარსებული. საქმე ის არის, რომ მონასტრის მთავარ ეკლესიას დღევანდელი სახე დაახ. მე-15 საუკუნეში აქვს მიღებული და მისი წინამორბედი, უფრო ადრეული ტაძრის ფრაგმენტები, მასში მხოლოდ აქა-იქაა ჩაშენებული. შესაბამისად, გასარკვევი იყო, მონასტრის მოქმედების რომელ პერიოდს განეკუთვნებოდა შესწავლილი ნაგებობა, განვითარებულ თუ გვიან შუა საუკუნეებს.

არქეოლოგიური კვლევების შედეგად გამოირკვა, რომ ნაგებობას წაგრძელებული გეგმა ჰქონდა და ორსართულიანი იყო. პირველი სართული ვიწრო და თითქმის გაუნათებელი იყო. სამაგიეროდ, მის კედლებში დატანებული იყო რამდენიმე თახჩა. ამ სართულის მიწის იატაკის კვლევისას, რამდენიმე მოზრდილი ქვევრის და

საკვების მარაგის შესანახი სხვა მსხვილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც აღმოჩნდა, შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული სხვა ანალოგიური სამონასტრო ნაგებობებთან სტილისტური შედარების საფუძველზე, თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს სართული მარნისა და საკუჭნაოს ფუნქციის შემთავსებელ სარდაფს წარმოადგენს. მართალია, მე-2 სართული მხოლოდ ფრაგმენტულად არის შემონახული, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის უშუალოდ სატრაპეზო დარბაზს წარმოადგენდა. საკუჭნაო-მარანთან სატრაპეზო უთუოდ ხის კიბით იქნებოდა დაკავშირებული, რომლის ნაშთებიც აღარ შემორჩა. სატრაპეზო ოთახი, პირველი სართულისგან განსხვავებით, რამდენიმე სარკმლით იქნებოდა კარგად განათებული, რომელთაგანაც მხოლოდ ერთის მოხაზულობა დადასტურდა. სატრაპეზოს მეორე სართულს კრამიტის ორფერდა სახურავი უნდა ჰქონოდა, რომლის კრამიტების ნაშთები, მტრისგან დარბევის და ხანძრის დროს, სარდაფის სართულზე ჩაქცეული სახით, მრავლად აღმოჩნდა.

სატრაპეზოს სარდაფის სართულის იატაკის ზედა ფენის გათხრისას დადასტურებული ნივთიერი მასალის, ძირითადად კერამიკული ნაკეთობების შედარებითი ანალიზის ჩატარების შედაგად გამოვარკვიეთ, რომ ეს ნივთიერი მასალა დიდწილად განვითარებული შუა საუკუნეების სხვადასხვა ეტაპს განეკუთვნება, ძირითადად X-XIV საუკუნეებს. მასალის ასეთი განსაზღვრის საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ, როგორც ჩანს, ეს სატრაპეზო უკვე XIV საუკუნის ბოლოს გამოსულა წყობიდან, დიდი ალბათობით თემურ-ლენგის ქვემო ქართლში რომელიმე გამანადგურებელი ლაშქრობის შედეგად. ამის შემდეგ, ეს დიდი სატრაპეზო, როგორც ჩანს აღარ აღუდგენიათ და XV საუკუნეში, მონასტრის მთავარი ეკლესიის განახლების შემდეგ, სატრაპეზოდ რომელიმე სხვა ნაგებობას იყენებდნენ.

Abstract

The master thesis reviews the findings of archeological studies for one of the historical buildings which are the component part of the Bediani Monastery Complex situated in the gorge of the river Khrami (Ktsia) in Tsalka Region, Georgia. It's true that this monument, before rehabilitation works, has become an object of archeological studies in 2010 yet, but scientific report of archeological works carried out therein has never been published, because at that time the mentioned project covered the field works only and the following development and study of obtained material has not been continued. Therefore, my master thesis attempts to become the material obtained exactly in this field conditions and stored in the Bediani Monastery publicly known and bring to light, and define functionally and chronologically and begin to speak in scientific language. One of the main goals of this thesis was to check once again the issue how much the mentioned building did correspond to the purpose of refectory, concretely in which epoch was it built and how much time did it operate.

One of the main problems of the studies was the question when the Bediani Monastery was founded. The main church of the monastery has gained the present appearance approximately in the 15th century and its predecessor, the earlier church fragments, are built-in here and there only. Therefore, period of the building should be clarified, whether it belonged to the developed or the late middle ages.

Archeological studies have clarified that the building had a longish plan and it was two-storied. The ground floor was narrow and almost lightless. On the other hand, several open cupboards were built into limestone walls. While studying the ground of this floor, fragments of several big wine-jars and the other big earthenware for food storage have been discovered, therefore, on the basis of stylistic comparison with the other analogue monastery buildings approved in the territory of Georgia, it can be said that this floor is a cellar combining the function of wine cellar and storeroom. It's true that the first floor is only fragmentally preserved, but it must be implied that it was directly the refectory. Refectory would undoubtedly be connected with wine cellar-storeroom with the wooden stairs,

remains of which have not been saved. Refectory, differently from the ground floor, was probably well-illuminated with several windows, from which the contour of only one has been approved. The first floor of the refectory probably had a tiled double-pitch roof, and remains of roof tiles demolished in the cellar as a result of ravaging and fire have been discovered in great number.

At the time of excavating the upper layer of the cellar ground of the refectory, basically as a result of making a comparison analysis of ceramic workmanship, we have clarified that this material mostly belonged to the different stages of the developed middle ages, generally X-XIV centuries. Based on such definition of the material, we can say that this refectory has been supposedly damaged at the end of XIV century, as a result of one of the destructive campaigns of Timur in Kvemo Kartli. Following it, this great refectory as it seems have never been restored and in XV century, after restoration of the monastery's main church, any other building might be used for refectory.